

ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ დირექტორის
ბრძანება № 060

2020 წლის 7 დეკემბერი

ქ. თბილისი

ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის პროგრამის, მცირე ბიზნესის მატერიალური მხარდაჭერის 2020 წლის ქვეპროგრამაში და შესაბამის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აიპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ წესდების 1 მუხლის 1,10; 1,11; 1,12 და 1,13 პუნქტების, მე-3 მუხლის 2,2 პუნქტის; მე-5 მუხლის, 5,3 პუნქტის, 5,3,2 და 5,3,4 ქვეპუნქტების თანახმად; პანდემიით გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით, დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების კიდევ უფრო გართულებული ეკონომიკური მდგომარეობის და შემცირებული შემოსავლების ფონზე პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად მცირე და მიკრო ბიზნესის მხარდასაჭერად, მოძიებული დამატებითი სახსრების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1) ცვლილება შევიდეს აიპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ (შემდგომში ორგანიზაცია) ბრძანებაში N 009 (24 მარტი, 2020 წ.)-ის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

-განახლდეს აიპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის პროგრამის, მცირე ბიზნესის მატერიალური მხარდაჭერის 2020 წლის ქვეპროგრამა 2020 წლის 7 დეკემბრის 18:00 საათიდან, განაცხადების მიღება ქვეპროგრამის ფარგლებში დაიწყოს 2020 წლის 7 დეკემბრის 18:00 საათიდან და დასრულდეს 2020 წლის 15 დეკემბრის 18:00 საათზე;

2) ბრძანების N 009 (24 მარტი, 2020 წ.) და თანდართული დებულების დანარჩენი პირობები და კრიტერიუმები დარჩეს უცვლელი, გარდა ქვეპროგრამის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული შეფასების ეტაპების ვადებისა, რომელიც მითითებულია დანართში N1, მუხლი 8, პუნქტი 3 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ქვეპროგრამის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული შეფასების ეტაპების ვადები:

რიგითობა	ეტაპის დასახელება	ხანგრძლიობა	ვადები	შენიშვნა
1	დია კონკურსის გამოცხადება	9 კალენდარული დღე*	07/12/2020 – 15/12/2020*	*ორგანიზაციის დირექტორის ბრძანება #005, დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი
2	განაცხადების მიღება	9 კალენდარული დღე*	07/12/2020 – 15/12/2020*	*ორგანიზაციის დირექტორის ბრძანება #005, დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი
3	კომისიის მუშაობა, გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენა	არაუმეტეს 6 სამუშაო დღე*	16/12/2020 – 23/12/2020*	კომისიის მიერ აპლიკანტ(ებ)ის შერჩევა ქულების სისტემით *ნებისმიერი კონკრეტული განაცხადის მიღებიდან არაუმეტეს 30 სამუშაო დღე *ორგანიზაციის დირექტორის ბრძანება #005, დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი
4	დაკმაყოფილების გადაწყვეტილება	არაუმეტეს 3 სამუშაო დღე*	23/12/2020 – 25/12/2020*	*ორგანიზაციის დირექტორის ბრძანება #005, დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი

3) დაევალოს ორგანიზაციის კონკურსებისა და პროგრამების მენეჯერს - კომისიის მდივანს, კომისიის მუდმივი წევრებისათვის დაუყოვნებლივ მოცემული ბრძანების გაცნობა; კომისიის არამუდმივი-მოწვეული წევრებისათვის შესაბამისი კომისიის პირველივე სხდომის წინ მოწვევისას და გამოაქვეყნოს მოცემული ბრძანება 2 სამუშაო დღის მანძილზე, ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ოფიციალურ ფეისბუკ-გვერდზე;

4) დაევალოს ორგანიზაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტს განაახლოს ელექტრონული განაცხადების მიღება ორგანიზაციის ვებ გვერდზე ამ ბრძანების შესაბამისად.

5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ.ადამაშენების ხეივანი მე12 კმ, #6)

აიპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ დირექტორი

ვ.ფოჩხუა

